



აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

განცხადება

აღმაშფოთებელია ბოლო დღეების განმავლობაში საქართველოს პარლამენტში მიმდინარე პროცესი. საპარლამენტო უმრავლესობის მიერ მოწყობილი ობსტრუქცია, რომელიც მიზნად ისახავდა კონსტიტუციური ცვლილების არ მიღებას, შეიცავს ქვეყნის დესტაბილიზაციის რისკს, რაც დიდ დარტყმას მიაყენებს თითოეული მოქალაქის მომავალს, ასევე კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს ქვეყნის ევროპულ პერსპექტივას.

ვფიქრობთ, რომ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა კრიტიკულად მნიშვნელოვანია ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის. პროპორციული საარჩევნო სისტემის დამკვიდრების მნიშვნელობა თითქოს იყო გააზრებული და გაზიარებული პოლიტიკური ძალების უმრავლესობის, მათ შორის მმართველი ძალის „ქართული ოცნების“ მიერ. თუმცა ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენები გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს უპასუხისმგებლო პოლიტიკურ თამაშთან, რითაც მმართველი ძალა, „ქართული ოცნება“ და მისი ლიდერი, ბიძინა ივანიშვილი, რომლებმაც არ შეასრულეს საზოგადოებისთვის მიცემული პირობა, უდიდეს საფრთხეს უქმნიან ქვეყნის სტაბილურობას, დემოკრატიულ განვითარებას და თავისუფალ ევროპულ პერსპექტივას. გვინა კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი იმას, რომ ისინი იქნებიან პასუხისმგებელი მძიმე შედეგებზე, რაც შეიძლება მოყვეს პირობის გატეხვას და უსამართლო, არაეფექტური საარჩევნო სისტემის დატოვებას.

ხელმომწერი ორგანიზაციები:

1. ლიბერალური აკადემია თბილისი
2. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
3. ჟურნალისტიკის რესურსცენტრი
4. საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკის განვითარების ცენტრი

5. მსოფლიო გამცდილება საქართველოსთვის
6. ახალგაზრდული ალტერნატივა
7. ასოციაცია „ტოლერანტი“
8. საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
9. ფონდი ”სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური რესურსცენტრი”
10. ასოციაცია მწვანე ტალღა
11. სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი "თაობათა დიალოგი"
12. ჩართულობის და განვითარების ცენტრი
13. იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია ”თანხმობა”
14. ცენტრი ემპათია
15. ასოციაცია „იმედი“ დევნილ ქალთა მოძრაობა
16. ფონდი „კავკასიის ეკოლოგია“
17. ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭო
18. ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“
19. ადამიანის უფლებათა ცენტრი
20. ჯუნიორ ეჩივმენტი - საქართველო
21. კავშირი „სპექტრი“
22. მეგობრობის ხიდი ქართლოსი
23. სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
24. ასოციაცია „ სკოლა-ოჯახი საზოგადოება“
25. „ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსთვის“
26. საზოგადოებრივი განვითარების აკადემია
27. „ფერმერთა უფლებების დაცვი ასოციაცია“
28. საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია
29. გაერთიანება ჯანმრთელობისა და განათლებისთვის
30. საქართველოს გეოსტრატეგიული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის კვლევების ინსტიტუტი